2-8855/19
13-05-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მომართვის საფუძველზე გთხოვთ, კანონის პროექტის განხილვისათვის დადგენილი ვადის 3 კვირით გაგრძელებას საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტებზე: „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ„ (07-2/290; 13.12.2018).

დანართი: 1ფ.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
კახაბერ კუჭავა

2-8838/19
13-05-2019

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ კახაბერ კუჭავას

ბატონო კახაბერ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია კანონპროექტები: „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-2/290; 13.12.2018).

წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტზე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი არის სავალდებულო კომიტეტი, ხოლო განხილვის ვადად განსაზღვრულია 2019 წლის 15 მაისი.

ვინაიდან მომხსენებლის მიერ ვერ ხერხდება პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრულ ვადაში კანონპროექტის წარმოდგენა კომიტეტის სხდომაზე, გთხოვთ, მიმართოთ პარლამენტის ბიუროს კანონპროექტის განხილვის ვადის 3 კვირით გაგრძელების თაობაზე.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი